24.04.2024

განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს სხდომის ოქმი N10

თბილისი, 24 აპრილი 2024

განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ ონლაინ რეჟიმში ZOOM-ის პლატფორმის გამოყენებით შემდეგი საბჭოს წევრები:

1. **სოფიკო ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე
2. **რევაზ ტაბატაძე** - შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
3. **გია ნოზაძე** - USAID საბაზისო განათლების პროგრამა; სწავლა-სწავლების დირექტორი;
4. **მანანა რატიანი** - USAID საბაზისო განათლების პროგრამა; მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო კომპონენტის დირექტორი;
5. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი - საბჭოს მდივანი;
6. **ნინო ნახუცრიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი;
7. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. **ნანა მაკარაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
9. **ეკატერინე სლოვინსკი -** USAID - განათლება მომავლისთვის პროექტის, საუნივერსიტეტო განათლების უფროსი მრჩეველი**;**
10. **თამარ შინჯიაშვილი** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;

11. **ალუდა გოგლიჩიძე** - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის განათლების სკოლის დეკანი, ასოცირებული პროფესორი.
12. **ქეთევან ჭკუასელი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი - საბჭოს წევრი;
13. **მაია ჩქოტუა** - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
14. **მარეხი ნიკოლაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის მოწვეული სპეციალისტი - საბჭოს წევრი;
15. **თამარ კაპანაძე** - თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი - საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:

1. **ნათია ვაჭარაძე -** კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. **ხატია ბერიძე -** კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე.

კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე ნათია ვაჭარაძე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სხდომას საბჭოს 28 წევრიდან საბჭოს ესწრებოდა 15 წევრი. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიით შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ამასთანავე, მან ითხოვა საბჭოს წევრებისაგან ნებართვა, რომ ოქმის წარმოების მიზნებიდან გამომდინარე აღნიშნული სხდომა ჩაწერილიყო, რომელიც კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში განადგურდებოდა, რაზეც საბჭოს დამსწრე წევრებიდან არცერთს არ გამოუთქვამს საწინააღმდეგო აზრი.

მოისმინეს:

24.04.2024

საბჭოს თავმჯდომარემ, სოფიკო ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. **საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის, საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიშის საფუძველზე, განხორციელებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ მსჯელობა.**

2. **ცენტრის დირექტორისადმი „მასწავლებლის მომზადების უმაღლესის განათლების დარგობრივი მახასიათებლის“ დაკორექტირებული პროექტის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენა.**

3. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლში (დამტკიცებული) ცვლილებების შეტანა**

ცენტრის წარმომადგენელმა, ნათია ვაჭარაძემ საბჭოს წევრებს კიდევ ერთხელ გააცნო საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის, საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიშის საფუძველზე, მიღებული რეკომენდაციები, რომლებიც საბჭოს წევრებს გაეგზავნათ სრული პაკეტის სახით სხდომის ჩანიშვნამდე, ამ დოკუმენტზე (კომპეტენციის ფარგლებში) მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით.

მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 11 აპრილს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსულია N380668 წერილი, რომელიც შეეხება "საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიშს.

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა დაიწყო მუშაობა "საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიშის განხილვასთან დაკავშირებით.

24.04.2024

კომიტეტი მოითხოვს როგორც აღნიშნული ანგარიშის მიხედვით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრისადმი გაცემული რეკომენდაციების თაობაზე წერილობითი პოზიციის წარდგენას, ასევე, დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას იმ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომლებიც საქართველოს სახალხო დამცველის გასული წლების ანგარიშებში იყო გაცემული უწყების მიმართ, სახალხო დამცველმა მიიჩნია შეუსრულებლად და კვლავ გასცა სამინისტროსადმი.

კორესპოდენციას თან ახლდა 2023 წლის ანგარიშში ასახული რეკომენდაციების მატრიცა, წარმოგიდგენთ დანართის სახით. აღნიშნულ მატრიცაში განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში მოცემულია შემდეგი რეკომენდაცია:
„შევიდეს ცვლილება „მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 3 იანვრის №8 ბრძანებითა და „მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 10 ივლისის №622/ი ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის MES 4 20 0001231866 ბრძანებით დამტკიცებულ დარგობრივ მახასიათებლებში და განისაზღვროს შემდეგი: პროგრამის დასრულების შემდეგ, პირმა იცის ადამიანის უფლებათა ზოგადი არსი და სტანდარტები. მას შეუძლია საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება ადამიანის უფლებათა პრინციპებზე დაფუძნებით“.

ნათია ვაჭარაძემ აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით დამტკიცებულია **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლი, ხოლო „მასწავლებლის მომზადების უმაღლესის განათლების დარგობრივი მახასიათებლის“ პროექტი წარდგენილია ცენტრის დირექტორისადმი დასამტკიცებლად.**

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული დარგობრივი მახასიათებლები ითვალისწინებენ რეკომენდაციაში ასახულ ასპექტებს, თუმცა დაზუსტების მიზნით შესაძლებელია მასში შევიდეს მცირე კორექტირება.

24.04.2024

დაიწყო დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვა - **ცენტრის დირექტორისადმი „მასწავლებლის მომზადების უმაღლესის განათლების დარგობრივი მახასიათებლის“ დაკორექტირებული პროექტის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენა.**

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მივიდნენ შემდეგ გადაწყვეტილებამდე: დაკორექტირდეს **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტი,** კერძოდ:
სწავლის შედეგების ნაწილში, ცოდნა და გაცნობიერების 1.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1.1 აღწერს, როგორ შექმნას ფიზიკურად, სოციალურ-ემოციურად და კოგნიტურად უსაფრთხო, ინკლუზიური, სწავლისა და მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილი, მამოტივირებელი სასწავლო გარემო **ბავშვის უფლებათა ზოგადი არსისა და სტანდარტების დაცვით.**

ხოლო **უნარების ნაწილში 4.1 პუქნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით**

4.1 **ბავშვის უფლებათა პრინციპებზე დაფუძნებით** ქმნის თანაბრად ხელმისაწვდომ, უსაფრთხო, თავისუფალ, კომფორტულ სასწავლო გარემოს თითოეული მოსწავლის პიროვნული, სოციო-ემოციური და კოგნიტური განვითარებისთვის მათი ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების, გენდერული, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით;

საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მიმოიხილა მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, შემდგომ, **საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის დაკორექტირებული ვარიანტის ცენტრის დირექტორისადმი დასამტკიცებლად წარდგენის საკითხი.**

კენჭი ეყარა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხს. საბჭოზე დამსწრე წევრებიდან ყველა მათგანმა დაადასტურა დღის წესრიგით დაყენებულ საკითხზე დადებითი გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილება: საბჭომ მიიღო მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დაკორექტირებული პროექტის ცენტრის დირექტორისადმი დასამტკიცებლად წარდგენის გადაწყვეტილება.

მომხრე-15

წინააღმდეგი-0

საბჭო გადავიდა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხის განხილვაზე-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლში (დამტკიცებული) ცვლილებების შეტანა

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მივიდნენ შემდეგ გადაწყვეტილებამდე:

სწავლის შედეგებში, ცოდნა და გაცნობიერების ნაწილში **პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირების პირველი სწავლის შედეგი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:**

- აღწერს როგორ შექმნას ფიზიკურად, სოციალურ-ემოციურად და კოგნიტურად უსაფრთხო, ინკლუზიური, სწავლისა და მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილი, მამოტივირებელი სასწავლო გარემო **ბავშვის უფლებათა ზოგადი არსისა და სტანდარტების დაცვით.**

სწავლის შედეგებში, უნარების ნაწილში **პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირების პირველი სწავლის შედეგი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:**

- **ბავშვის უფლებათა პრინციპებზე დაფუძნებით** ქმნის უსაფრთხო, თავისუფალ, კომფორტულ სასწავლო გარემოს თითოეული მოსწავლის პიროვნული, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური განვითარებისთვის მათი ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების, გენდერული, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით.

24.04.2024

გადაწყვეტილება: საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელში ცვლილებების განხორციელების შესახებ (დანართი N1).

მომხრე-15

წინააღმდეგი-0

სხდომა დასრულდა 13:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე - სოფიკო ლობჟანიძე

საბჭოს მდივანი - დიანა მჭედლიშვილი

24.04.2024

პროექტი

მასწავლებლის მომზადების
უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი (პროექტი)

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონე

2024

24.04.2024

I შესავალი

მასწავლებლის მომზადების უმეღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი[1] განსაზღვრავს ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო-/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის ძირითად სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისაგან დამოუკიდებლად არსებული პროგრამის განხორციელების მინიმალურ მოთხოვნებს. იგი ეყრდნობა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ დადგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მისაღწევ მინიმალურ სტანდარტს და განსაზღვრავს მის მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლის, შეფასების მიდგომებს, რესურსებსა და სხვა არსებით მახასიათებლებს, რომლებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონეს. დარგობრივი მახასიათებელი გულისხმობს პროფესიის, შესასრულებელი ვალდებულებების სპეციფიკის გაცნობიერებას, პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელ თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და ღირებულებებს, უფროსი მასწავლებლის ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესრულების შესაძლებლობას.

წინამდებარე დოკუმენტის, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმის, მიზანია, ხელი შეუწყოს:

- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო/საშუალო საფეხურის/საფეხურების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და შემდგომში განხორციელებას;

[1] დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს შუალედურ დოკუმენტს, რომელიც ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს აკავშირებს საგანმანათლებლო პროგრამასთან. იგი აღწერს იმ მინიმალურ სწავლის შედეგებს, რომელიც უნდა ჰქონდეს შესაბამისი დონისა და სწავლის სფეროს/დარგის კვალიფიკაციის მფლობელს, თუმცა არ ამოწურავს ამ სფეროსთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებს. ამასთან, დარგობრივი მახასიათებლის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნებისა და მოქნილობის უზრუნველყოფა. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებას შეუძლია დარგობრივ მახასიათებელში აღნიშნული სწავლის შედეგების სტრუქტურულად განსხვავებულად ჩამოყალიბება.

- დაგეგმვის, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას;
- კურსდამთავრებულის საზოგადოებრივ თუ პროფესიულ საქმიანობაში შესაძლებლობების რეალიზებასა და კარიერულ წინსვლას (სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართვასა და პროფესიული განვითარებით შემდგომი საფეხურის მასწავლებლის სტატუსის მოპოვებას).

მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლი შემუშავდა შემდეგ დოკუმენტებზე/მეთოდოლოგიებზე/საუკეთესო პრაქტიკებზე დაყრდნობით:

- საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო;
- უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო;
- ინჩეონის დეკლარაცია;
- მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო;
- შრომის ბაზრის მოთხოვნები;
- საკანონმდებლო მოთხოვნები:
- საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ;
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
- ბავშვის უფლებათა კოდექსი;
- განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია;
- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები;
- ეროვნულ და საერთშორისო დონეზე მოქმედი სტანდარტები:
- ეროვნული სასწავლო გეგმა;
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
- მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა.

მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განთლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების საფუძველი:

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში **მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის** განხორციელების შესაძლებლობას უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი 2013 წლამდე იძლეოდა. როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კვლევები ადასტურებდა საქართველოში მასწავლებლის პროფესიაში არსებულ კადრების

დეფიციტს, რამაც დღის წესრიგში დააყენა კვალიფიციური სამასწავლებლო კადრის მომზადების საჭიროება და პროფესიაში შესვლის გზების გამარტივება არსებული დეფიციტის დასაძლევად. ამ მიზნით 2016 წლიდან ამოქმედდა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო (60-კრედიტიანი) პროგრამები, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელი იყო მხოლოდ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისაგან დამოუკიდებლად შესაბამის დარგობრივ დოკუმენტზე დაყრდნობით კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში 2022 წელს შესულმა ცვლილებებმა შესაძლებელი გახადა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60-კრედიტიანი) განხორციელდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის ძირითად სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებშიც. აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა მოითხოვა მასწავლებლის მომზადების სამართლებრივი რეგულაციების ჰარმონიზაცია შესაბამის ცვლილებებთან, მათ შორის – დაწყებითი, საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახსიათებლების განახლება.

წარმოდგენილმა დარგობრივმა მახასიათებელმა:

- ❖ მკაფიოდ განსაზღვრა განათლების ტრანსფორმაციის როლი გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის;
- ❖ გამოკვეთა არაფორმალური განათლების კომპეტენციების განვითარების აუცილებლობა;
- ❖ დააზუსტა პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების ფორმატი.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი განკუთვნილია:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ-ის) ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განვითარებასა და განხორციელებაში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარისთვის;
- სტუდენტთათვის, რომლებიც სწავლობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის ძირითად სწავლის სფეროში შემავალ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე;

- იმ პირთათვის, რომლებსაც დასრულებული აქვთ უმაღლესი განათლების I საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა (გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა) და სურთ მასწავლებლის პროფესიის დაუფლება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში;
- დამსაქმებელთათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებით;
- განათლების სფეროს ექსპერტთათვის, რომლებსაც პერიოდულად ევალებათ წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით დაფარული სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, მონიტორინგი ან აკრედიტაციის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა;
- აკრედიტაციის, ავტორიზაციისა და აპელაციის საბჭოს წევრებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ინგლისურად დარგობრივი მახასიათებლის დასახელებაა -
The Subject Benchmark Statement of teacher training დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა 7 წელია.
მასწავლებლის მომზადების საგანმანათელბლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

II. სწავლის სფეროს აღწერა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელი ვალდებულია შეასრულოს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსითა და სწავლების შესაბამისი საფეხურის/საფეხურების მასწავლებლის განათლების დარგობრივი მახასიათებელით განსაზღვრული მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების ერთობლიობა საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო აქტების მოთხოვნების შესაბამისად, გააცნობიეროს თითოეული მოსწავლის ასაკობრივი თავისებურება, უნიკალურობა; იზრუნოს მოსწავლეთა

პიროვნულ, სოციალურ-ემოციურ, კოგნიტურ განვითარებაზე, მათ ფიზიკურ და ფსიქოემოციურ ჯანმრთელობაზე. ჰქონდეს დარგის კონცეპტუალური ცოდნა და შეეძლოს მისი მიზნობრივად გამოყენება პროფესიული საქმიანობისას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისთვის აანალიზებდეს საკუთარ საქმიანობას და მოსწავლეთა შეფასების შედეგებს, იყენებდეს სწავლის უნივერსალური დიზაინის პრინციპებს, მათ შორის დიფერენცირებულ სტრატეგიებს მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებისა და საკუთარი პრაქტიკის განვითარებისთვის; ხელს უწყობდეს მოსწავლეებს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ფორმირებაში, თვითრეგულირებადი ქცევისა და სწავლის უნარის ჩამოყალიბებაში; თანამშრომლობდეს მოსწავლეებთან, კოლეგებთან, მშობლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან სასწავლო და საზოგადოებრივი მიზნებისთვის. იყოს რეფლექსიური, თვითკრიტიკული, თვითმოტივირებული, ორიენტირებული უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, პედაგოგიურ პრაქტიკაში სიახლეების მიღებასა და დანერგვაზე; ფლობდეს ციფრულ კომპეტენციებს და შეეძლოს მათი გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის, ასევე შესაბამისი საგნობრივი კომპეტენციების მომცველი[2] ძირითადი სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისაგან დამოუკიდებლად.[3]

პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგ მოდულებად:

- პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მოდული (სავალდებულო კურსების გარდა, მოდული შეიძლება მოიცავდეს არჩევითი სასწავლო კურსებსაც);
- საგნობრივი მეთოდიკის/მეთოდიკების მოდული (სავალდებულო კურსების გარდა, მოდული შეიძლება მოიცავდეს არჩევითი სასწავლო კურსებსაც);
- მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოიცავდეს სასკოლო პრაქტიკას არანაკლებ 10 ECTS მოცულობით, პროგრამის ფარგლებში, ასევე, შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა.

[2] შესაბამისობა დგინდება უნივერსიტეტის მიერ
[3] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 18 ოქტომბერი №97/ნ ბრძანება

III. სწავლის შედეგები

მასწავალებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნის, უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც სტუდენტს მოეთხოვება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას.
საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უნდა აკმაყოფილებდეს დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

ცოდნა და გაცნობიერება

1. პოზიტიური სასწავლო გარემო

1.1. აღწერს, როგორ შექმნას ფიზიკურად, სოციალურ-ემოციურად და კოგნიტურად უსაფრთხო, ინკლუზიური, სწავლისა და მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილი, მამოტივირებელი სასწავლო გარემო **ბავშვის უფლებათა ზოგადი არსისა და სტანდარტების დაცვით.**

1.2. ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების, გენდერული, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით განსაზღვრავს თითოეული მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს.

1.3. განსაზღვრავს კლასის მართვის, კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების ეფექტიან სტრატეგიებს.

1.4. მსჯელობს, როგორ შეუწყოს ხელი მშობელთა/მეურვეთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

1.5. აღწერს სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების ხელშემწყობ ძირითად ფაქტორებს და მსჯელობს თანამშრომლობითი გარემოს

მნიშვნელობაზე სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის, საკუთარი და კოლეგების პროფესიული განვითარებისთვის.

2. სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება

2.1. აღწერს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საფეხურის/საფეხურების მოთხოვნებს, მათ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპებს; მსჯელობს პროფესიულ საქმიანობაში მათი მიზნობრივად გამოყენების შესაძლებლობებზე;

2.2. მსჯელობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის თავისებურებებზე სწავლის უნივერსალური დიზაინის, მათ შორის, დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით;

2.3. მსჯელობს საგანმანათლებლო რესურსების მნიშვნელობაზე, მათი მოძიების, მოდიფიცირებისა და შექმნის გზებსა და მიზნობრივ გამოყენებაზე მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, მზაობის, ინტერესებისა და სწავლის სტილის გათვალისწინებით;

2.4. მსჯელობს პიროვნების განვითარებისა და განათლების ძირითად თეორიებზე და მათი გამოყენების მნიშვნელობაზე მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასების პროცესში;

2.5. მსჯელობს სწავლისა და სწავლების მრავალფეროვან, მოსწავლეზე ორიენტირებულ სტრატეგიებსა და მათი გამოყენების პერსპექტივებზე;

2.6. შეფასების ტიპებს, პრინციპებს, მეთოდებსა და კრიტერიუმებს აკავშირებს სასწავლო მიზანთან. მსჯელობს შეფასების რუბრიკების შექმნის ძირითად პრინციპებზე;

2.7. მსჯელობს ეფექტიანი განმავითარებელი შეფასების გამოყენების მნიშვნელობაზე თითოეული მოსწავლის პროგრესისთვის და სასწავლო პროცესის დახვეწისთვის.

3.პროფესიულ განვითარება

3.1. მსჯელობს პროფესიული განვითარების ძირითად პრინციპებზე, ფორმებსა და გზებზე;

3.2. განიხილავს განათლების მეცნიერებებში თანამედროვე ტენდენციებსა და კვლევებს;

უნარები

4. პოზიტიური სასწავლო გარემო

4.1. **ბავშვის უფლებათა პრინციპებზე დაფუძნებით** ქმნის თანაბრად ხელმისაწვდომ, უსაფრთხო, თავისუფალ, კომფორტულ სასწავლო გარემოს თითოეული მოსწავლის პიროვნული, სოციო-ემოციური და კოგნიტური განვითარებისთვის მათი ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების, გენდერული, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით;

4.2. მიზნობრივად იყენებს კლასის მართვის ეფექტურ სტრატეგიებს. ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითრეგულირებადი ქცევის ჩამოყალიბებასა და პოზიტიური ურთიერთობების დამკვიდრებას;

4.3. ქმნის თითოეული მოსწავლისათვის, მათ შორის სსსმ მოსწავლეთათვის, თანაბრად ხელმისაწვდომ გარემოს და უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას საკლასო/ სასკოლო ცხოვრებაში;

4.4. აანალიზებს კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებს და მათზე ადეკვატურად რეაგირებს; ავლენს მოსწავლეებთან, მშობლებთან/მეურვეებთან, კოლეგებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარს კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარებისათვის;

4.5. ხელს უწყობს მშობელთა/მეურვეთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

4.6. ამყარებს მოსწავლეებთან, კოლეგებთან, თემთან ურთიერთპატივისცემაზე დამყარებულ ეფექტურ კომუნიკაციას და საქმიან თანამშრომლობას სკოლისა და მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

5. სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება

5.1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის პრიორიტეტებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით შეიმუშავებს გრძელვადიან და მოკლევადიან სასწავლო გეგმებს; დაგეგმვისას ითვალისწინებს შიდასაგნობრივ და საგანთაშორის კავშირებს;

5.2. სასწავლო პრაქტიკას მიზნობრივად უკავშირებს პიროვნების განვითარებისა და განათლების ძირითად თეორიებს;

5.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავებისას თანამშრომლობს ისგ-ის ჯგუფთან სსსმ მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;

5.4. მოიძიებს, მოდიფიცირებას ახდენს, ქმნის და იყენებს დამხმარე რესურსებს, ციფრულ ტექნოლოგიებსა და ხელოვნურ ინტელექტს სასწავლო გეგმის მიზნების, კონკრეტული კლასის მოსწავლეების საჭიროებების, ასაკის, გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით;

5.5. ეფექტიანად არჩევს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების სტრატეგიებს მათი ასაკობრივი თავისებურებების, მზაობის, საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინებითა და ინდივიდუალურ პროგრესზე დაკვირვებით;

5.6. სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისას ითვალისწინებს სწავლის უნივერსალური დიზაინის პრინციპებს, მათ შორის დიფერენცირებული და რემედიაციული სწავლების მიდგომებს;

5.7. მიზნობრივად იყენებს სწავლისა და სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს;

5.8. ხელს უწყობს მოსწავლეებში ანალიტიკური, კრიტიკული, შემოქმედებითი და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას ლოკალურ და გლობალურ თემებზე აქცენტირებით;

5.9. ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მსწავლელად ჩამოყალიბებას.

5.10. იყენებს სწავლების პროცესში მდგრადი განვითარების პრინციპებს - აკავშირებს მათ სასწავლო მიზნებსა და საკითხებთან; ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით სთავაზობს მოსწავლეებს ამოცანებს, რომლებიც ორიენტირებულია მდგრადობაზე, პრობლემების გადაჭრაზე.

5.11. გეგმავს და ახორციელებს კლასგარეშე საქმიანობას მოსწავლეთა ინტერესების, საჭიროებებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით;

5.12. შეიმუშავებს და მიზნობრივად იყენებს შეფასების სქემებსა და რუბრიკებს მოსწავლეთა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის;

5.13. მოსწავლეთა სწავლის შედეგების ანალიზის საფუძველზე ავითარებს სასწავლო გეგმას და ცვლილებები შეაქვს სასწავლო პროცესში.

6. პროფესიული განვითარება

6.1. კოლეგებისგან, დირექციისგან, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის, თვითშეფასების, მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზის საფუძველზე ახდენს საკუთარი პრაქტიკის კომპლექსურ, თანმიმდევრულ და კრიტიკულ ანალიზს - ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებასა და პროფესიული განვითარების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას;

6.2. პროფესიული საქმიანობის სრულყოფის მიზნით მოიძიებს და იყენებს განათლების მეცნიერებებში თანამედროვე ტენდენციებსა და კვლევებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

7. პოზიტიური სასწავლო გარემო

7.1. აღიარებს განათლების ინკლუზიურობისა და მოსწავლეთა მოტივაციის მნიშვნელობას პოზიტიური, უსაფრთხო, კონფლიქტებისგან თავისუფალ, აკადემიური მიზნების მიღწევაზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს შექმნისთვის;

7.2. აღიარებს მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან, თემთან თანამშრომლობის მნიშვნელობას პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირებისთვის;.

7.3. ავლენს ყურადღებიან და ემპათიურ დამოკიდებულებას მოსწავლეებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების მიმართ.

სასწავლო პროცესის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება

7.4. აღიარებს და იცავს ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს და ხელს უწყობს მოსწავლეებში მათი, როგორც ღირებულებების დამკვიდრებას;

7.5. იზიარებს ზოგადი განათლების ჩარჩო დოკუმენტებისა და განათლების მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნის განახლების მნიშვნელობას თავისი პედაგოგიური საქმიანობისთვის;

8. პროფესიულ განვითარება

8.1. ისწრაფვის უწყვეტი პროფესიული განვითარების, სხვადასხვა გზით სიახლეების ათვისებისა და პრაქტიკაში მათი დანერგვისკენ და ისწრაფვის ლიდერობის უნარების განვითარებაზე

8.2. აღიარებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული სასკოლო პრაქტიკის სრულყოფის მნიშვნელობას.

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არ ანიჭებს კვალიფიკაციას.

ა) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

ბ) იმ შემთხვევაში, თუკი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, დიპლომსა და დიპლომის დანართში მიეთითება აგრეთვე ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლება.

4.1. დასაქმების შესაძლო სფერო**/**სფეროები**:**

პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება ექნება, იმუშაოს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლებში შესაბამისი საფეხურის/საფეხურების და საგნის/საგნების

მასწავლებლად, ასევე, ზოგადი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებში ფორმალური და არაფორმალური მიმართულებით.

4.2. სპეციალური მოთხოვნები**:**

მასწავლებლის პროფესია რეგულირდება სახელმწიფოს მიერ.

ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირების შემთხვევაში კურსდამთავრებული მასწავლებლობის უფლებას მოიპოვებს მასწავლებლის საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების (საგნის გამოცდის ჩაბარების) შემდეგ;

ბ) რადგან საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება (საგნის გამოცდის ჩაბარება) წარმოადგენს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (ბაკალავრიატის საფეხურისგან დამოუკიდებელი) სწავლის წინაპირობას, პროგრამის დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულის მასწავლებლობის უფლება დასტურდება გაცემული სერთიფიკატით.

v. სწავლება, სწავლა და შეფასება

სწავლებისას აუცილებელია თეორიული მასალის მიწოდება სალექციო სახით მინიმუმამდე იყოს დაყვანილი და გამოყენებული იყოს სტუდენტზე ორიენტირებული მრავალფეროვანი ინტერაქტიული სტრატეგიები - ინდივიდუალიზებული ინსტრუქციები, დისკუსიები, სიმულაციები, შემთხვევათა ანალიზი, კეთებით სწავლება, როლური თამაში, კვლევა, ლაბორატორიული მეცადინეობები, შებრუნებული საკლასო ოთახი, პროექტზე/პრობლემაზე/ადგილზე ორიენტირებული სწავლება (PBL), ელექტრონული პორტფოლიო, მოდელირება და სხვა. სათანადო მეთოდების რეგულარული გამოყენებით აუდიტორიაში სტუდენტები უკეთ აცნობიერებენ თანამედროვე მიდგომების უალტერნატივობას და მუშაობის დაწყების შემდეგ ადვილად შეძლებენ მიდგომების გადატანას პრაქტიკაში. სასკოლო პრაქტიკა სწავლის პერიოდში შესაძლებელია იყოს სასწავლო კურსებში ჩაშენებული და/ან დამოუკიდებლად განხორციელებული; სასკოლო პრაქტიკა თანმიმდევრულად ვითარდება სასწავლო პროცესის დაკვირვებიდან დაწყებული, გაკვეთილის დამოუკიდებლად ჩატარებით დამთავრებული.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის გეგმით/სილაბუსით/მოდულით გათვალისწინებული შეფასების ფორმები შესაძლოა მოიცავდეს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხებს, როგორებიცაა ზეპირი და წერითი ანგარიშის მომზადება და წარმოდგენა, ზეპირი გამოცდა, წერითი გამოცდა, ზეპირი გამოკითხვა და სხვ. თითოეული სასწავლო კურსის გეგმით/სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების კომპონენტები შესაძლოა აერთიანებდეს შეფასების სხვადასხვა მეთოდს: ტესტი, ესე, რეფერატი, შემთხვევის განხილვა/ანალიზი, პრაქტიკის კვლევის ანგარიში პორტფოლიო და ა.შ.

VI. დამატებითი ინფორმაცია

6.1 მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ძალაში შედის დამტკიცებისთანავე;

6.2 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამებს, ვალდებულნი არიან მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნებთან არსებული პროგრამები შესაბამისობაში მოიყვანონ წინამდებარე მახასიათებლის ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში;

6.3 დაწესებულება ვალდებულია ახალი საგანამანათლებლო პროგრამის/პროგრამების სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის დროს, პროგრამა/პროგრამები შესაბამისობაში ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან;

6.4 წინამდებარე დარგობრივ მახასიათებლებში მითითებულია ზოგადი განათლების საგნის/საგნების მასწავლებლის პროფესიისადმი წაყენებული მოთხოვნები;

6.5 მახასიათებელი ასახავს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტითა და

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის/საგნების მასწავლებლის ზოგად მახასიათებლებს;

6.6. საგნობრივი კომპეტენციები განისაზღვრება შესაბამისი საფეხურის და საგნის/საგნების ეროვნული სასწავლო გეგმითა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისი საგნობრივი ნაწილით;

6.7. სასკოლო პრაქტიკა სწავლის პერიოდში შესაძლებელია იყოს სასწავლო კურსებში ჩაშენებული და/ან დამოუკიდებლად განხორციელებული;

6.8. ჩაშენებული პრაქტიკის დროს სტუდენტი აკვირდება სასწავლო პროცესს, მასწავლებელთან ერთად მონაწილეობს დაგეგმვაში, ასისტირებას უწევს მას საგაკვეთილო პროცესში, აანალიზებს ნანახს; ჩაშენებულ პრაქტიკაზე სტუდენტები მცირე ჯგუფებად შეიძლება განაწილდნენ;

6.9 დამოუკიდებელი პრაქტიკის დროს სტუდენტი სრულად იღებს პასუხისმგებლობას სასწავლო პროცესზე, რისთვისაც წინასწარ ესწრება გაკვეთილებს, რათა გაიცნოს მასწავლებელი, მოსწავლეები, მშობლები. გეგმავს და ატარებს გაკვეთილებს. თითოეულ საგანში (ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, საზოგადოებრივი მეცნიერებები) სტუდენტმა უნდა ჩაატაროს სრული თემატური ერთეული, რომელიც რამდენიმე თანმიმდევრულ გაკვეთილს მოიცავს, რათა წარმოჩნდეს სწავლებისთვის აუცილებელი ყველა კომპეტენცია - დაგეგმვა, წარმართვა, შეფასება;

6.10 სასკოლო პრაქტიკას ხელმძღვანელობს, ერთი მხრივ, შესაბამისი საფეხურისა და საგნის/საგნების მოქმედი მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემისა“ და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს, აქვს სკოლაში მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება და უნარი, სასწავლო პრაქტიკის განმავლობაში გაუწიოს სტუდენტს პროფესიული მხარდაჭერა; ხოლო, მეორე მხრივ - პრაქტიკის ხელმძღვანელი უნივერსიტეტიდან, რომელიც ეხმარება სტუდენტს სასწავლო პრაქტიკის მოთხოვნების გააზრებაში, პროცესების დაგეგმვასა და წარმართვაში, პრაქტიკის რეფლექსიაში.

VII. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

7.1. **დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები**

განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრები

№	**სახელი, გვარი**	**ორგანიზაცია/დაწესებულება**	**თანამდებობა**
1	სოფიკო ლობჟანიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების სკოლის ხელმძღვანელი, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2	დიანა მჭედლიშვილი	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი - საბჭოს მდივანი;
3	ქეთევან ჭკუასელი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი - საბჭოს წევრი;
4	ზაქარია ქიტიაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
5	მიხეილ გიორგაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი- საბჭოს წევრი;

6	ვლადიმერ ადეიშვილი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი- საბჭოს წევრი;
7	მარეხი ნიკოლაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიური ფაკულტეტის მოწვეული სპეციალისტი - საბჭოს წევრი;
8	ნანა მაკარაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი- საბჭოს წევრი;
9	ნინო ნახუცრიშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი- საბჭოს წევრი;
10	ეკატერინე გიგაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი- საბჭოს წევრი;
11	თამარ შინჯიაშვილი	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
12	რევაზ ტაბატაძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;

13	ალუდა გოგლიჩიძე	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	კავკასიის განათლების სკოლის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
14	პაატა პაპავა	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი- საბჭოს წევრი;
15	მაია ჩქოტუა	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ინგლისური ფილოლოგიის და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
16	ხათუნა ხალვაში	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
17	ნანა ქირია	შპს თბილისის თავისუფალი აკადემია	პროფესორი- საბჭოს წევრი;
18	ქეთევან აფთარაშვილი	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	განათლების დეპარტამენტის უფროსი, განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
19	ირმა ქურდაძე	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი- საბჭოს წევრი;

20	ქეთევან ქობალია	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის, ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი - საბჭოს წევრი;
21	თეონა ხაჩიძე	შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში	სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მასწავლებელი) ხელმძღვანელი, ასისტენტ-პროფესორი - საბჭოს წევრი;
22	ნიკოლოზ სილაგაძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის "ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება და დანერგვის ხელშეწყობის" პროგრამის ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარების კოორდინატორი - საბჭოს წევრი;
23	ია აფთარაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის "ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება და დანერგვის ხელშეწყობის" პროგრამის ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარების კოორდინატორი (კვლევების მიმართულებით) - საბჭოს წევრი;
24	თამარ გაგოშიძე	„თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრი“	დამფუძნებელი; სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და

			განათლების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი - საბჭოს წევრი;
25	გია ნოზაძე	USAID საბაზისო განათლების პროგრამა	სწავლა-სწავლების დირექტორი - საბჭოს წევრი;
26	მანანა რატიანი	USAID საბაზისო განათლების პროგრამა	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო კომპონენტის დირექტორი - საბჭოს წევრი;
27	ეკატერინე სლოვინსკი	USAID-განათლება მომავლისთვის პროექტი	საუნივერსიტეტო განათლების უფროსი მრჩეველი - საბჭოს წევრი;
28	თამარ კაპანაძე	თბილისის კლასიკური გიმნაზია	დირექტორი- საბჭოს წევრი;
29	ანა კინწურაშვილი	შპს „ქორალი"	შპს „ქორალი" - მათემატიკის მასწავლებელი. საბჭოს წევრი;